

„შპს „მაგთიკომის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F2, №F4, №F12, №F15, №F16, შპს „ჯეოსელის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F17, №F18, №F20, №F24 და შპს „მობიტელის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5, №F42 და №F59 ლიცენზიების მოდიფიცირების, ცალკეულ შემთხვევებში მოქმედების ვადის 15 წლით განსაზღვრისა და ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურთა გადაანგარიშების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 29 იანვრის №55/2 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ 2013 წლის 4 ივნისს შპს „მობიტელმა“ განცხადებით (04.06.13N7/223-13) მიმართა კომისიას და მოითხოვა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება. კომისიამ 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილებით შპს „მობიტელს“ გაუგრძელდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NF5 ლიცენზიის მოქმედების ვადა 2013 წლის 23 ივლისიდან 10 წლით-2023 წლის 23 ივლისამდე, ხოლო შპს „მობიტელის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NF5 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასური განისაზღვრა -16,177,427.70 (თექვსმეტი მილიონ ასსამოცდაჩვიდმეტი ათას ოთხასოცდაშვიდი და 70) ლარით. თანხის დაანგარიშება მოხდა „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ფორმულით.

კომისია აღნიშნავს, რომ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 49-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი იხდის აუქციონებზე დაფიქსირებულ საფასურთა საშუალო არითმეტიკულს, მაგრამ აღნიშნული მუხლი არ განსაზღვრავს საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშების მათემატიკურ წესს.

„რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე“ კომისიის 2013 წლის 17 ივლისის №6 დადგენილებით „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების“ მე-7 მუხლს დაემატა მე-6 პუნქტი, რომლითაც განისაზღვრა აუქციონებზე დაფიქსირებულ საფასურთა საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშების მათემატიკური წესი. სწორედ ამ ახალი წესის შესაბამისად დაანგარიშდა „შპს „მობიტელის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის ვადის გაგრძელების საფასური.

შპს „მობიტელმა“ სასამართლო წესით გაასაჩივრა „შპს „მობიტელის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილება, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის შპს „მობიტელის“ მიერ გადასახდელი ამოწურვადი რესურსებით სარგებლობის საფასურის გამოთვლის ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „მობიტელის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომლის 2015 წლის 5 მაისის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 26 აპრილის №ბს-545-538 (2კ-15) გადაწყვეტილებით შპს „მობიტელის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 5 მაისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში ბათილად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე. შპს „მობიტელის“ სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილების რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის შპს „მობიტელის“ მიერ გადასახდელი ამოწურვადი რესურსებით სარგებლობის გამოთვლის ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა, კომისიას შპს „მობიტელის“ სასარგებლოდ დაეკისრა სამივე ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 550 ლარის მესამედის - 183,3 ლარის ანაზღაურება. დანარჩენ ნაწილში, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 5 მაისის განჩინება უცვლელად დატოვა.

საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „მობიტელმა“ კომისიას ლიცენზიის ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიმართა 2013 წლის 4 ივნისს, შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 და მე-15 მუხლების საფუძველზე, კომისიას აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება უნდა მიეღო 2013 წლის 16 ივლისს, სადავო ინდივიდუალური აქტი კი 2013 წლის 22 ივლისს გამოსცა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, შპს „მობიტელის“ მიმართ ლიცენზიის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული, რომ ყოფილიყო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, საფასურის დაანგარიშება არ მოხდებოდა 2013 წლის 17 ივლისს განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, 2013 წლის 7 ივნისს კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში დამატების შეტანასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო, რაც უპირობოდ არ ადასტურებს, რომ საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილება უკვე დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავებულ წესს გაითვალისწინებდა. გარდა ამისა, თუნდაც ადმინისტრაციულ ორგანოს ჩამოყალიბებული ჰქონოდა მოსაზრება რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების საფასურის გამოთვლის წესთან დაკავშირებით, ნორმატიული აქტი 2017 წლის 17 ივლისს იქნა მიღებული. საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ნორმის დროში მოქმედების არცერთი პრინციპი არ მიიჩნევა დასაშვებად ჯერ მიუღებელი, თუნდაც პროექტის დონეზე არსებული ნორმის გავრცელებას მის მიღებამდე განსახილველ განცხადებაზე. ამ გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია რომ შპს „მობიტელის“ განცხადების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადაში განხილვის შემთხვევაში, კომისიას უნდა გამოეყენებინა სადავო დამატების მიღებამდე არსებული წესი, მიუხედავად იმისა, ეს წესი ნორმატიულად იყო განსაზღვრული, თუ პრაქტიკით დადგენილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ბათილად ცნო კომისიის 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი.

კომისიამ 2016 წლის 8 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება №729/19 „საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 26 აპრილის №ბს-545-538 (2კ-15) გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, „შპს „მობიტელის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. აღნიშნული გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა „შპს „მობიტელის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის ვადის გაგრძელების შესახებ“ კომისიის 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილებაში და აღნიშნული გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. შპს „მობიტელის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასური განისაზღვროს -11,497,635.76 (თერთმეტი მილიონ ოთხასოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ექვსასოცდაოთხუთმეტი და 76) ლარით;“

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიაში შემოვიდა შპს „მობიტელის“ განცხადება (მ-6/6870-16; 14.07.2016), რომლითაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილების (ბს-545-538 (2კ-150)) საფუძველზე, კომპანია ითხოვს 2013 წლის 22 ივლისის კომისიის №461/6 გადაწყვეტილებით №F5 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასურის ახალი ფორმულით დაანგარიშებულ თანხასა და ძველი პრაქტიკით დაანგარიშებულ თანხებს შორის სხვაობის გამო ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მისი დაანგარიშებით შეადგენს 4,679,792.70 ლარს (16,177,427.70-11,497,635.70).

კომისიის 2016 წლის 23 სექტემბრის №642/23 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „შპს „მაგთიკომის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F2, №F4, №F12, №F15, №F16, შპს „ჯეოსელის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F17, №F18, №F20, №F24 და შპს „მობიტელის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5, №F42 და №F59 ლიცენზიების მოდიფიცირების, ცალკეულ შემთხვევებში მოქმედების ვადის 15 წლით განსაზღვრისა და ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურთა გადაანგარიშების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 29 იანვრის №55/2 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. ზეპირი მოსმენის თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 31 ოქტომბრის 15:00 საათი, ხოლო გადაწყვეტილების მიღების ვადად ზეპირი მოსმენის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღე.

კომისიის 2016 წლის 31 ოქტომბრის სხდომას ესწრებოდა შპს „მობიტელის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი ირაკლი ესართია. სხდომაზე გადაწყვეტილების მიღების თარიღად დასახელდა 2016 წლის 8 ნოემბერი 15:00 საათი.

კომისიის 2016 წლის 8 ნოემბრის სხდომას ესწრებოდა შპს „მობიტელის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი ირაკლი ესართია.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის (შ-10/7573-16; 26.07.2016) თანახმად, 2015 წლის 29 იანვარს განხორციელდა მობილური ოპერატორების სარგებლობაში არსებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მოდიფიცირება. აღნიშნულ ლიცენზიებს შორის იყო შპს „მობიტელის“ №F5, №F42 და №F59 ლიცენზიებიც. მოდიფიცირების შედეგად, №F5 ლიცენზიის საფასური გაანგარიშებულ იქნა შემდეგნაირად:

	თარიღი	თანხა
ლიცენზიის გაგრძელების ღირებულება	23 ივლ 2013	16,177,427.70
მოდიფიცირებისას ლიცენზიის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი გადახდილი თანხა	1 თებ 2015	13,705,630.15
ლიცენზიის მოდიფიცირების ღირებულება		14,237,850.00
გადასახდელი თანხა		532,219.85

სულ №F5 ლიცენზიის ღირებულება 2013 წლის 13

აგვისტოდან

16,709,647.55

ამავე სამსახურებრივ ბარათში აღნიშნულია, რომ ძველი პრაქტიკის მიხედვით, ლიცენზიის ვადის გაგრძელების საფასური, შეადგენს 11,497,635.76 ლარს. იმ შემთხვევაში, თუ 2013 წლის 23 ივლისის №461/6 გადაწყვეტილების საფუძველზე შპს „მობიტელი“ გადაიხდიდა უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ 11,497,635.76 ლარს, მოდიფიცირების შედეგად თანხის გაანგარიშება შემდეგ სახეს მიიღებდა:

	თარიღი	თანხა
ლიცენზიის გაგრძელების ღირებულება	23 ივლ. 2013	11,497,635.76
მოდიფიცირებისას ლიცენზიის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი გადახდილი თანხა	1 თებ. 2015	9,740,877.62
ლიცენზიის მოდიფიცირების ღირებულება		14,237,850.00
გადასახდელი თანხა		4,496,972.38

სულ NF5 ლიცენზიის ღირებულება 2013 წლის 13

აგვისტოდან

15,994,608.15

შესაბამისად, რეალური სხვაობა ზემოთ მოცემულ ორ შემთხვევაში დაანგარიშებულ თანხებს შორის შეადგენს 715,039.40 ლარს (16,709,647.55 - 15,994,608.15) და არა 4,679,792.70 ლარს, როგორც ეს შპს „მობიტელის“ წერილობით წარმოდგენილი.

როგორც გაანგარიშებიდან ჩანს, ლიცენზიის საფასურის გადაანგარიშების შედეგად, №F5 ლიცენზიის საფასურმა, 2015 წლის 1 თებერვლიდან, 15 წლის ვადით, შეადგინა 14,237,850 ლარი. თუმცა, კომპანია „მობიტელს“ გადახდილად ჩაეთვალა ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის ის ოდენობა, რომელიც კომისიის მიერ ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ კომისიის №461/6 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე პერიოდისთვის გადაანგარიშებული ოდენობის პირდაპირპროპორციული იყო, ანუ 16,177,427.70 ლარიდან გადახდილად ჩაეთვალა 13,705,630.15 ლარი და გადასახდელმა თანხამ შეადგინა 532,219.85 ლარი. მოდიფიცირების შედეგად, კომისიის 2015 წლის 29 იანვრის №55/2 გადაწყვეტილებით ასევე დაანგარიშდა №F42 ლიცენზიის საფასური და გაერთიანდა №F42 და №F5 ლიცენზიები. №F42 ლიცენზიის საფასურმა შეადგინა 10,703,446.62 ლარი. ზემოაღნიშნული ლიცენზიების გაერთიანების შედეგად, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიით განსაზღვრული ამოწურვადი რესურსით სარგებლობისათვის შპს „მობიტელს“ სულ გადასახდელი დარჩა 11,235,666.47 ლარი. იმ შემთხვევაში, თუ 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილების საფუძველზე შპს „მობიტელი“ გადაიხდიდა არა 16,177,427.70 ლარს არამედ 11,497,635.70 ლარს, მაშინ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის მოდიფიცირების და №F42 ლიცენზიასთან გაერთიანების შემდეგ კომპანიას გადასახდელი კიდევ დარჩებოდა 15,200,419.00 ლარი (ნაცვლად 11,235,666.47 ლარისა).

ასევე აღსანიშნავია, რომ კომისიის 2015 წლის 29 იანვრის №55/2 გადაწყვეტილებით, კომპანია „მობიტელს“ განესაზღვრა გადასახდელი თანხის გადახდის გრაფიკი, რომლის მიხედვითაც №F5 ლიცენზიის ნარჩენი ღირებულება კომპანიამ უნდა გადაიხადოს 2015 წლის 1 მარტიდან 2017 წლის 1 თებერვლამდე შუალედში,

ყოველი თვის პირველი რიცხვისთვის. შესაბამისად უნდა დამტკიცდეს თანხის გადახდის ახალი გრაფიკი, რომელშიც შპს „მობიტელს“ გადახდილად უნდა ჩაეთვალოს კომისიის 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურსა (16,177,427.70 ლარი) და 2016 წლის 8 ნოემბრის №729/19 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურს (11,497,635.76) შორის სხვაობა, რაც შეადგენს 4,679,791.94 ლარს (16,177,427.70-11,497,635.76). ასევე გრაფიკში უნდა აისახოს შპს „მობიტელის“ მიერ 2016 წლის 8 ნოემბრის მდგომარეობით გადახდილი თანხა (9,831,208.17 ლარი) და კომპანიის მიერ 2017 წლის 1 თებერვლამდე გადასახდელი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის დაჩენილი ნაწილი.

კომისიის სხდომაზე შპს „მობიტელის“ უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ირაკლი ესართიამ კომისიის წინაშე დააყენა შუამდგომლობა დარჩენილ თანხის გადახდის გრაფიკის 2017 წლის იანვრის და თებერვლის თვეში განწილვადების თაობაზე. კომისიამ იმსჯელა დაყენებულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნია თანხის განწილვადება მოთხოვნილი გრაფიკის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის, IX თავის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 26 აპრილის №ბს-545-538 (2კ-15) გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად,

გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილება „შპს „მაგთიკომის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F2, №F4, №F12, №F15, №F16, შპს „ჯეოსელის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F17, №F18, №F20, №F24 და შპს „მობიტელის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5, №F42 და №F59 ლიცენზიების მოდიფიცირების, ცალკეულ შემთხვევებში მოქმედების ვადის 15 წლით განსაზღვრისა და ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურთა გადაანგარიშების შესახებ“ კომისიის 2015 წლის 29 იანვრის №55/2 გადაწყვეტილებაში და:

ა) ამ გადაწყვეტილების 11.1 პუნქტის დ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიით განსაზღვრული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასური განისაზღვროს - 15,200,419.00 (თხუთმეტი მილიონ ორასი ათას ოთხასცხრამეტი და 00) ლარის ოდენობით“ ;

ბ) ამ გადაწყვეტილების 11.1 პუნქტის ვ.თ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ.თ) უზრუნველყოს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიისათვის განსაზღვრული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის - 15,200,419.00 (თხუთმეტი მილიონ ორასი ათას ოთხასცხრამეტი და 00) ლარის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა შემდეგი რეკვიზიტებისა და გრაფიკის მიხედვით:

მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში-ა/ა-N200122900;

ბანკი: სახელმწიფო ხაზინა;

ბანკის კოდი: TRESGE22;

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: N300773402;

№	გადახდის გრაფიკი	ლიცენზია №F5
1	1.03.2015-მდე	468,152.77
2	1.04.2015-მდე	468,152.77
3	1.05.2015-მდე	468,152.77
4	1.06.2015-მდე	468,152.77
5	1.07.2015-მდე	468,152.77
6	1.08.2015-მდე	468,152.77
7	1.09.2015-მდე	468,152.77
8	1.10.2015-მდე	468,152.77
9	1.11.2015-მდე	468,152.77

10	1.12.2015-მდე	468,152.77
11	1.01.2016-მდე	468,152.77
12	1.02.2016-მდე	468,152.77
13	1.03.2016-მდე	468,152.77
14	1.04.2016-მდე	468,152.77
15	1.05.2016-მდე	468,152.77
16	1.06.2016-მდე	468,152.77
17	1.07.2016-მდე	468,152.77
18	1.08.2016-მდე	468,152.77
19	1.09.2016-მდე	468,152.77
20	1.10.2016-მდე	468,152.77
21	1.11.2016-მდე	468,152.77
	სულ გადახდილი გრაფიკით 2016 წლის 8 ნომბრის მდგომარეობით	9,831,208.17
	კომისიის 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურსა (16,177,427.70 ლარი) და 2016 წლის 8 ნომბრის №729/19 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურს (11,497,635.76) შორის სხვაობა	4,679,791.94
22	03.01.2017-მდე	344,709.45
23	01.02.2017-მდე	344,709.45
		15,200,419.00

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს:

- ა) ინფორმაციის საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გაგზავნის უზრუნველყოფა (მ. ქადეიშვილი);
- დ) აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს "მობიტელისთვის" გაგზავნა (ნ. ჯავახიძე);
- 4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი დამოწმებული ასლის შპს "მობიტელისთვის" ჩაბარებისთანავე;
- 5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ; №6) ერთი თვის ვადაში;
- 6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების პირველი პუნქტის შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტს (ნ. დევდარიანი).
- 7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე (გარდა პირველი პუნქტისა) დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

მერაბ ქათამაძე